აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№70 (24.950) ხუთშაბათი, 7 - 8 ივლისი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 25-30, შიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 17-22 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 21 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოსა და ევროპულ სასამართლოს შორის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები იყო პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტ რობერტ სპანოს შეხვედრის მთავარი თემა. პრემიერ-მინისტრმა რობერტ სპანოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით გაწეული პირადი ძალისხმევისთვის მადლობა გადაუხადა. „პრემიერ-მინისტრის თქმით, ევროსასამართლოს სტატისტიკური მონაცემები ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან ზრდას აჩვენებს და სტრასბურგის სასამართლოში განცხადებების რაოდენობის სწრაფი და მკვეთრი კლება საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული წარმატებული რეფორმების შედეგია“, - აღნიშნულია მთავრობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ბირმინჰემის სესიის დასკვნით სხდომაზე, საქართველოს პარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელმა და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძემ ეუთოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს სიტყვით მიმართა. მან ყურადღება გაამახვილა რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ ფართომასშტაბიან აგრესიაზე და მის გავლენაზე რეგიონულ უსაფრთხოებაზე. სამხარაძემ ევროინტეგრაციის პროცესში, საქართველოს პროგრესზე ისაუბრა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, საქართველოს მხარდაჭერის გააქტიურებისკენ მოუწოდა.

* * *

საპარლამენტო ოპოზიციის წევრები საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად ევროკავშირის მიერ დაადგენილი 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების გეგმასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ, რომლებმაც მათ თავიანთი ხედვა გააცნეს 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით. „უნდა ჩაინიშნოს რიგგარეშე სესია, სადაც დავიწყებთ იმ ნაბიჯების გადადგმას, რომლებსაც არ სჭირდება განსაკუთრებული მომზადება, - განაცხადა შეხვედრაზე ანა ნაცვლიშვილმა.

* * *

დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებით, იძულებით გადაადგილებულ 768 ოჯახს სააგენტო სოფლად სახლს შეუსყიდის. დევნილი ოჯახები სახლებს საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, 6 თვის ვადაში, თავად შეარჩევენ. 2022-2024 წლებში, „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, იძულებით გადაადგილებული 7000-მდე ოჯახი განსახლდება.

მოამზადა
ია ფველიძემ

ფარნავაზ მეფის ქუჩის რეაბილიტაცია

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან ერთად, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე მიმდინარე საგზაო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა

- ფარნავაზ მეფის ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, რომ სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდეს და რიგ მონაკვეთებზე მოძრაობა დროულად აღდგეს, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

პროექტით გათვალისწინებულია სანიაღვრე სისტემის მოწყობა, დაზიანებული ველობილიკების, ტროტუარებისა და ბორდიურების რეაბილიტაცია, ასევე, ასფალტის საფარის დაგება.

ამ ეტაპისთვის სამუშაოები დასრულებულია გრიბოედოვიდან სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩამდე არსებულ მონაკვეთში. ასფალტის დაგება მიმდინარეობს ჰაიდარ აბაშიძისა და მელიქიშვილის, ასევე, სელიმ ხიმშიაშვილისა და აბაშიძის ქუჩებს შორის არსებულ მონაკვეთებში.

სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის დეკემბერში დასრულდება. პროექტის ღირებულება 2 მილიონ ლარს აღემატება.

არჩილ ჩიქოვანის თქმით, ზაფხულის განმავლობაში გრძელდება როგორც საგზაო სამუშაოები, ასევე სკვერებისა და სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. გარდა ამისა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის ფარგლებში არსებული პროგრამები აქტიურად ხორციელდება, ხოლო შემოერთებულ ტერიტორიებზე მიმდინარეობს საყრდენი კედლების მოწყობა, გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია.

აჭარის უმაღლეს საბჭოში პოლონეთის ქვემო სილეზიის დელეგაციას უმასპინძლეს

აჭარას ერთკვირიანი სამუშაო ვიზიტით პოლონეთის ქვემო სილეზიის დელეგაცია ეწვია სეიმიკის ვიცე-მარშლის მარცინ კრჟანოვსკის მეთაურობით. 25-კაციან დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში ქვემო სილეზიის სეიმიკის წევრები, მეწარმეები, მეღვინეები და მედიის წარმომადგენლები არიან, აჭარის უმაღლეს საბჭოში უმასპინძლეს. როგორც მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, დელეგაციის სრულ შემადგენლობასთან შეხვედრამდე, ქვემო სილეზიელ კანონმდებლებს მიღება გაუმართა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ. მიღებაზე, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძე, აპარატის ხელმძღვანელი ზურაბ ჭურკვეიძე ესწრებოდნენ, მხარეებმა ორი ქვეყნის რეგიონებს შორის თანამშრომლობისა და სამომავლო ურთიერთობების საკითხები განიხილეს.

მიღების შემდეგ, დელეგაციისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრებს შორის გაიმართა შეხვედრა, რომელსაც საქართველოს პარლამენტის წევრი რესან კონცელიძე ესწრებოდა.

დავით გაბაიძემ სტუმრებს მადლობა გადაუხადა ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მჭიდრო ურთიერთობები კიდევ არაერთ სფეროს, მათ შორის, მეღვინეობის მიმართულებასაც მოიცავს.

თანამშრომლობის სპექტრის გაზრდის აუცილებლობაზე ისაუბრეს ქვემო სილეზიის სეიმიკის ვიცე-მარშალმა მარცინ კრჟანოვსკიმ, სეიმიკის თავმჯდომარის მოადგილემ ანჟეი კრადკოვსკიმ, დელეგაციის სხვა წევრებმაც. აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძემ, დამოუკიდებელმა დეპუტატმა ირაკლი ჩავლეიშვილმა იმედი გამოთქვეს, რომ ვიზიტი ნაყოფიერი აღმოჩნდება პოლონელი მეღვინე-მეწარმეებისთვის, რომლებიც ღვინის სამშობლოში დამკვიდრებულ და საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ უდიდეს გამოცდილებას გაიზიარებენ.

«ყოველთვის მზად ვარ, ნებისმიერ შეკითხვას ვუპასუხო»

4

«ჩვენმა ახალგაზრდობამ უკვე ბევრჯერ დაამტკიცა, რომ საქართველოს ადგილი ევროპულ ოჯახშია»

5

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

უნგრეთის ელჩის ვიზიტი – აჭარაში

უნგრეთის ელჩი საქართველოში ანა მარია შიკო აჭარაში იმყოფებოდა

ვიზიტის ფარგლებში, დიპლომატი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ქალაქ ბათუმის მერს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა.

რეგიონის პირველ პირთან გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს. თორნიკე რიჟვაძემ ანა მარია შიკოს არსებული ტურისტული მდგომარეობა გააცნო და აღნიშნა, რომ აჭარაში ტურიზმის მაჩვენებელი სრულად აღდგენილია. ყურადღება გამახვილდა ორ ქვეყანას შორის უკანასკნელ პერიოდში ურთიერთობების გააქტიურების დადებით დინამიკაზე, დაიგეგმა თანამშრომლობა კულტურულ და გარემოს დაცვის სფეროებში.

თორნიკე რიჟვაძემ უნგრეთის მხარეს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე გამოხატული ურყევი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

ანა მარია შიკოს შეხვდა, ასევე, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მხარეებმა ქვეყნებს შორის სამომავლო თანამშრომლობის საკითხები, არსებული ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები განიხილეს. არჩილ ჩიქოვანმა ხაზი გაუსვა საქართველოსა და უნგრეთის რესპუბლიკას შორის არაერთი მიმართულებით პარტნიორული ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობას. უნგრეთის ელჩმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ შეეცდება თავისი წვლილი შეიტანოს ურთიერთთანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებაში.

ანა მარია შიკოს უმასპინძლა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა. ელჩმა მინისტრს ვიშეგრადის ფესტივალის აჭარის რეგიონში ჩატარებისთვის მადლობა გადაუხადა. განიხილეს უნგრეთთან მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები განათლების, კულტურისა და სპორტის დარგში. ყურადღება გამახვილდა მაღალმთიან აჭარაში ქალთა გაძლიერების და კარიერული ზრდის შესაძლებლობებზე. განიხილეს ოთხი საზაფხულო ბანაკის ფუნქციონირების საკითხები.

ვიშეგრადის ფესტივალის ფარგლებში, უნგრეთის ელჩი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. ბსუ-ის რექტორ, პროფესორ მერაბ ხალვაშთან გამართულ შეხვედრაზე დიპლომატმა ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებსა და ერთობლივი საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროექტების განხორციელებაზე გაამახვილა ყურადღება. ელჩი შეხვდა სტუდენტებს და მათ ვიშეგრადის ფესტივალის პროგრამა გააცნო.

ვიშეგრადის ქვეყნების ფესტივალი ბათუმში მომავალ წელსაც გაიმართება.

2023 წელს უნგრეთის ქალაქ ვესპრიმი ევროპის კულტურის დედაქალაქის სტატუსის მატარებელი იქნება.

ია შარია

28 ბავშვი ნახიჩევანის სარეაბილიტაციო ცენტრში ბრონქული ასთმის მკურნალობის კურსს გაივლის

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის მთავრობის ინიციატივითა და ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის მხარდაჭერით, 28 ბავშვი ნახიჩევანის სპეციალიზებულ სარეაბილიტაციო ცენტრში გაემგზავრა, სადაც ბრონქული ასთმის მკურნალობის კურსს გაივლის

ბრონქული ასთმის და სასუნთქი სისტემის სხვადასხვა დაავადების მქონე ბავშვები სანატორიულ-კურორტულ მკურნალობას 2 კვირის განმავლობაში გაივლიან.

ბავშვები აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ და აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა გააცილეს.

- ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დიდი ხანია გვაქვს ურთიერთობა, რომელიც ითვალისწინებს მოზარდების სპეციალიზებულ ცენტრში რეაბილიტაციას. ბრონქული ასთმა, სასუნთქი გზების პრობლემები ბევრ ბავშვს აწუხებს. ჩემი კოლეგა, ბატონი ვასილ თალიბოვი ამ გამოწვევას გაეცნო და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ აჭარიდან ბავშვებისათვის მიგვეცა შესაძლებლობა, რომ ეს კონკრეტული სარეაბილიტაციო ცენტრი ყოფილიყო მათ სამსახურში, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

- ბავშვები ნახიჩევანში სანატორიულ-კურორტულ მკურნალობას გაივლიან. ბათუმიდან მათ, მშობლებთან ერთად, ექიმიც მიჰყვება. ისინი უზრუნველყოფილნი იქნებიან ყველა საჭიროებით, - აღნიშნა ნინო ნიჟარაძემ.

ნუნუ მიცკევიჩი ბათუმში მიმდინარე საგამოცდო პროცესს გაეცნო

ქვეყნის მასშტაბით 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები მიმდინარეობს. აბიტურიენტები ჯერ კვლავ ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდას აბარებენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩმა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა ბათუმის პირველ საჯარო სკოლაში გახსნილი საგამოცდო ცენტრი მოინახულეს, რეგისტრაციის პროცესს ადგილზე გაეცნენ და აბიტურიენტებს წარმატება უსურვეს.

„ეროვნული გამოცდები აჭარის რეგიონში მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს. საგამოცდო ცენტრებში ყველა პირობაა შექმნილი, იმისთვის, რომ გამოცდებზე მისულმა აბიტურიენტებმა თავიანთი ცოდნა და უნარები მაქსიმალურად გამოავლინონ“ - აღნიშნა ნუნუ მიცკევიჩმა.

ბათუმის პირველი სკოლის საგამოცდო ცენტრში რეგისტრაცია 08:00 საათზე, ხოლო საგამოცდო პროცესი ზუსტად 09:00 საათზე დაიწყო. დაგვიანების შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

2022 წლის გამოცდები 27 ივლისს საერთო სამაგისტრო გამოცდით დასრულდება.

წელს აჭარის რეგიონის მასშტაბით ოთხი საგამოცდო ცენტრი ფუნქციონირებს, რომლებიც დარეგისტრირებულ 10 287 გამოსაცდელს, აქედან 4 474 აბიტურიენტს მიიღებს.

ნათია იმნაიშვილი

სამუშაო შეხვედრა – ხელვაჩაურის მერიაში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა დიასამიძემ, მერის მოადგილეებთან, სამსახურების, ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად, სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო უამინდობისგან გამოწვეული პრობლემები. არსებული პრობლემების დროულად აღმოსაფხვრელად დაიგეგმა ყველა აუცილებელი ღონისძიების გატარება და საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა უწყებასთან კოორდინირებული მუშაობა.

მერმა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებისგან დეტალური ინფორმაცია მიიღო სოფლებში არსებულ საჭიროებებზე.

შეხვედრაზე, ასევე, განიხილეს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობა და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, მერიაში მოქმედი სოციალური პროგრამების განხორციელება და სხვა მიმდინარე საკითხები.

სამი დღით – ბელგიაში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

4-6 ივლისს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების პრეზიდენტის მაია კობახიძის ხელმძღვანელობით, ამ დარგის პროფკავშირული დელეგაცია ევროპის განათლების პროფკავშირების (ETUCE) სპეციალურ კონფერენციაზე ბელგიის ქალაქ ლიეჟში იმყოფებოდა. დელეგაციის წევრებს შორის იყვნენ ხულოსა და შუახევის პროფკავშირული ორგანიზაციების თავმჯდომარეები ემზარ დეკანაძე და ლევან ნატარიძე. „აჭარა“ ლევან ნატარიძეს ესაუბრა:

- ETUCE-ს კონფერენციაზე წევრი ქვეყნების 270 დელეგატი მსჯელობდა პროფკავშირების ჩართულობასა და აქტივობებზე. კონფერენციის გზავნილი იყო: „მობილიზება ხარისხიანი განათლებისთვის მოსწავლეთა საკეთილდღეოდ და მასწავლებელთა, განათლების სფეროს წარმომადგენელთა სტატუსის ამაღლებისთვის ზრუნვა“.

პირველ დღეს ETUCE-ს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განათლების პროფკავშირების წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართა. სამუშაო თემები იყო: „განათლების პროფკავშირების სტრატეგიები მოლაპარაკების პროცესებში და სწავლა-სწავლება კრიზისულ პერიოდში“.

კონფერენცია ორ წელიწადში ერთხელ იმართება ETUCE-ს განათლებისა და დასაქმების პოლიტიკასთან მიმართებაში არსებული საკითხების განხილვისა და შემდგომი პროგრამების დასახვის მიზნით. ვიმსჯელეთ მასწავლებლებისა და განათლების სფეროს დამსაქმებლებს შორის თანადგომასა და პარტნიორობაზე.

სპმთპ-ისთვის დიდი პატივი და დაფასება იყო EETUCE-ს ხელმძღვანელების გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა 7 კაცით განისაზღვრა. პირველად მოგვეცა შესაძლებლობა, ფართო წარმომადგენლობით ჩავრთულიყავით საერთაშორისო ორგანიზაციის კონფერენციის მუშაობაში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ სპმთპ-ის პრეზიდენტი მაია კობახიძე, აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი მარი ალუღიშვილი, სამგორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გულიკო ამილიძე, რუსთავის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ლეილა გორგაძე, ჭიათურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე დალი სამხარაძე, ხულოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ემზარ დეკანაძე და შუახევის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ლევან ნატარიძე. კონფერენციაზე მიღებული შთაბეჭდილებები დიდხანს გაგვყვება.

ნატოს ახალი კონცეფცია და უცვლელი სტრატეგია

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ნატოს სისტემაზე უკეთესი დაცვა რომ მსოფლიოში არ არსებობს, უკრაინაში მიმდინარე ომმაც ცხადყო. რუსეთი, როგორც ცნობილია, აგრესიას ახორციელებს ალიანსის მხრიდან დაუცველ ქვეყნებზე. კრემლი ცივი ომის ეპოქაშიც ვერ ბედავდა აგრესიას ნატოში შემავალ სახელმწიფოებზე, ხოლო შემდეგ მისი თავდასხმის ობიექტები პოსტსაბჭოთა ქვეყნები აღმოჩნდნენ, რათა ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოებულიყო, თუმცა რუსეთმა მის საზღვრებთან მიიღო უფრო მეტი ნატო - ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ფინეთი და შვედეთი ოფიციალურად მიიწვია გასაწევრიანებლად

ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ დღევანდელ მსოფლიოში ნატო ყველაზე ძლიერი სამხედრო გაერთიანებაა, რომელმაც არსებობის 73-წლიანი ისტორიის განმავლობაში სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა როგორც შინაარსობრივი, ასევე გაფართოების თვალსაზრისით. ამ მხრივ ჩნდება კითხვა: ნატოს არსებობის განმავლობაში გაიზარდა თუ შემცირდა მისი გავლენა და მოქმედების არეალი? დღეს ბევრი საუბრობს, თითქოს ალიანსმა სამოქალაქო დატვირთვა შეიძინა და ხელს უწყობს ცალკეულ სახელმწიფოებში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, დემოკრატიის ხარისხის ამაღლებას და ა. შ. ჩვენ უნდა განვიხილოთ მისი შინაარსობრივი ტრანსფორმაცია: რეალურად რუსეთს სწორედ ნატოს შინაარსობრივი ტრანსფორმაცია აშფოთებს, ესაა სხვადასხვა ქვეყანაში, მით უფრო პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიული ინსტიტუტების ამოქმედება და გაძლიერება, რაც გულისხმობს ხელისუფლების ცვალებადობას. რუსეთსა და მის სატელიტ ქვეყნებში, როგორც ვიცით, ძალაუფლებას ერთი, მმართველი პარტია ფლობს. უკვე სადავო არაა, რომ 2008 წლის ომის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი სწორედ ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური კურსი იყო, ამას არც მალავენ რუსეთის ოფიციალური პირები და ღია განცხადებაც გაკეთდა. ხშირად ისმის კითხვა: იმ დროისთვის საქართველოს მაპი რომ ჰქონოდა მინიჭებული, აგვისტოს ომი მოხდებოდა? ექსპერტები აცხადებენ, რომ რაღაც ფორმით კრიზისი აუცილებლად გამოვლინდებოდა, მაგრამ არა ომის მასშტაბით. სამწუხაროდ, გერმანიამ და საფრანგეთმა იმ ეტაპზე გაწევრიანებაზე უარი გვითხრეს. დასავლეთი იმ მომენტისთვის, როგორც ჩანს, უფრო საკუთარ თავზე ფიქრობდა, ვიდრე საქართველოზე, მისთვის უმჯობესი იყო, რუსეთს თავისი უკმაყოფილება ნატოსადმი საქართველოზე გადმოენთხია, რაც კრემლს ცოტათი დააშოშმინებდა.

დასავლეთის ზემოაღნიშნული სისუსტე რუსეთისთვის წამახალისებელი გამოდგა შემდეგ უკრაინის მიმართ აგრესიისთვის. 2014 წელს ყირიმის ანექსია მოახდინა, ამაზეც დახუჭა დასავლეთმა თვალი. ექსპერტები აცხადებენ, დასავლეთს თუნდაც 2014 წელს რომ დაეწესებინა რეალური (და არა მოჩვენებითი) სანქციები რუსეთის მიმართ, მსოფლიო ახლა უკრაინის ტრაგედიის მომსწრე არ იქნებოდა, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ისიც უნდა ითქვას, რომ ფინეთსა და შვედეთს ნატოში მაპის გარეშე მიიღებენ. რას უქადის ეს რუსეთს? ცხადია, კარგს არაფერს! მადრიდის სამიტზე ივნისში მიღებულ ნატოს საკვანძო დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობა დარღვეულია და აგრესია ხორციელდება არა მხოლოდ უკრაინის მიმართ, არამედ უფრო ფართოდ, ჩრდილოატლანტიკური საზოგადოების წინააღმდეგაც. სწორედ ამ რეალობიდან გამომდინარეობს აღნიშნული დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ ნატოსთვის რუსეთია უმთავრესი და პირდაპირი საფრთხე, რომლის მიზანიც არსებული საერთაშორისო წესრიგის დამხობაა. ნატო ამას არ დაუშვებს და შეახსენებს აგრესორებს, რომ ალიანსი ატომური იარაღის მფლობელია და მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისთვის მასზე უარის თქმას არ აპირებს. ამასთან, ნატოს კონცეფცია ხაზს უსვამს, რომ რუსეთის გააქტიურება შავი ზღვის აუზში, ბალტიისპირეთსა და ბელარუსში ალიანსის ინტერესებს ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, ნატოს ახალ კონცეფციაში გარკვევითაა აღნიშნული, რომ ნატო არა მხოლოდ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ ხელმეორედ ადასტურებს 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე მიღებული დოკუმენტის ერთგულებისადმი მზაობას, რომელიც საქართველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრიანების მხარდაჭერასა და გარდაუვალობას გამოხატავდა, აღნიშნული სტრატეგიული კონცეფცია საკვანძოა და აუცილებლად შეცვლის რუსული აგრესიების ციკლს დასავლური სამყაროს წინააღმდეგ, რომლის ნაწილი საქართველოცაა. თავის მხრივ პუტინი აფრთხილებს დასავლეთს, რომ რუსეთი ფინეთისა და შვედეთისგან შესაძლო საფრთხეებს „სარკისებურად“ უპასუხებს.

ცხადია, რუსეთი ნატოს არ დაუპირისპირდება, 30 სახელმწიფოსთან ომი სიგიჟეა, სავარაუდოდ, არც ფინეთის და შვედეთის წინააღმდეგ განახორციელებს აგრესიას, რადგან ეს ქვეყნები სამხედრო თვალსაზრისითაც მძლავრი სახელმწიფოებია. რუსეთის მიზანია ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდეს, სამწუხაროდ, ამ საკითხში თავად ნატოს რიგებშია წინააღმდეგობა. ეს შეიძლება თითოეული წევრი სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით ავხსნათ. ერთ ჯგუფშია ტრადიციული, ძველევროპული სახელმწიფოები და მეორეში - აღმოსავლეთის ახალევროპული ქვეყნები. როგორც ჩანს, კლასიკური ევროპული სახელმწიფოები საკუთარი სახელმწიფოებრივი გაგებიდან ამოდიან და ნატოს ხისტ გაფართოებას, რომელიც რუსეთის გაღიზიანებას იწვევს, მეტი სიფრთხილით ეკიდებიან. რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, ისინი უფრო პროამერიკული მთავრობებით გამოირჩევიან და ნატოშიც ამერიკის ხაზის გამტარებლები არიან. ბუნებრივია, აშშ-ისთვის ნატოს გაფართოებას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს - იგი ზუსტად ესადაგება ე.წ. ანაკონდის სტრატეგიას (რაც აშშ-ის უცვლელი სტრატეგიაა) ანუ რუსეთის საზღვრებთან უნდა შეიქმნას სახელმწიფოები, რომლებსაც ეყოლებათ ანტირუსულად განწყობილი ხელისუფლებები და ისინი, შესაბამისად, ანტირუსულ პოლიტიკას გაატარებენ. სხვათა შორის, რუსეთი, ნატოსთან ერთად, ევროკავშირსაც მიიჩნევს საფრთხედ, რადგან ევროკავშირიც ერთ-ერთი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია, რომელსაც ხვალ აუცილებლად გაუჩნდება ამბიცია უსაფრთხოებასა და სამხედრო ძალასთან დაკავშირებით. შეიძლება ის მეორე ნატო გახდეს რუსეთისთვის იმიტომ, რომ ნებისმიერი ინტეგრაციული, ორგანიზაციული გაერთიანება არის გავლენის სფეროების ინსტიტუციონალიზაცია. მსგავს გაერთიანებაში ახალი წევრების მიღება ნიშნავს კონკრეტული ცენტრისთვის გავლენების გაფართოებას, ეს კი ბუნებრივია, ვიღაცის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ევროკავშირის გაფართოება რუსეთის ინტერესებს ვნებს, ამიტომ ეწინააღმდეგება რუსეთი საქართველოს გაწევრიანებას ნატოსა და ევროკავშირში, თუმცა ამ მხრივ არანაკლებ ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობს, მაგალითად, ნატოს ძალიან ბევრი მოთხოვნა აქვს. საგარეო პოლიტიკური კუთხით სადავო არაფერია, ჩვენ გვაქვს სახელმწიფოებრივ დონეზე მკვეთრად გამოხატული და ევროატლანტიკური კურსი, მაგრამ ძალიან ბევრი კითხვა არსებობს ქვეყნის განვითარების, პოლიტიკური სისტემის, დემოკრატიის ხარისხთან დაკავშირებით, რაც, ბუნებრივია, გარკვეული რეფორმების განხორციელებას მოითხოვს. ამ მხრივ ვერ უნდა წამოგვყენოს პრეტენზია დასავლეთმა. სამუშაო ბევრი აქვს ხელისუფლებას დასავლურ სტანდარტებთან დასაახლოებლად. ასე რომ, რამდენად მიზნობრივად შევასრულებთ და გავატარებთ ნატოს მოთხოვნებს ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით, იმდენად დაჩქარდება საქართველოს გაწევრიანება ევროატლანტიკურ სივრცეში.

> ***„ცხადია, რუსეთი ნატოს არ დაუპირისპირდება, 30 სახელმწიფოსთან ომი სიგიჟეა, სავარაუდოდ, არც ფინეთის და შვედეთის წინააღმდეგ განახორციელებს აგრესიას, რადგან ეს ქვეყნები სამხედრო თვალსაზრისითაც მძლავრი სახელმწიფოებია. რუსეთის მიზანია ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდეს, სამწუხაროდ, ამ საკითხში თავად ნატოს რიგებშია წინააღმდეგობა. ეს შეიძლება თითოეული წევრი სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით ავხსნათ***

დიმიტრი მედვედევი: აშშ-მა და მისმა მარიონეტებმა უნდა დაიმახსოვრონ ბიბლიის სიტყვები: „ნუ განიკითხავთ და არ განიკითხებით!“...

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ და კრემლის ყოფილმა ლიდერმა დიმიტრი მედვედევმა შეერთებული შტატები „ნამდვილი დემოკრატიის“ გულისთვის მთელ მსოფლიოში ქაოსისა და ნგრევის გავრცელების მცდელობაში დაადანაშაულა. მედვედევმა აღნიშნული განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ოფიციალურმა ვაშინგტონმა უკრაინაში შესაძლო ომის დანაშაულებზე სისხლის სამართლებრივი დევნისთვის მხარი დაუჭირა საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის მოწოდებას.

„ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ისტორია, მკვიდრი ინდიელი მოსახლეობის დამორჩილების დროიდან მოყოლებული, წარმოადგენს სისხლიანი ომების სერიას. ვინმეს დაეკისრა პასუხისმგებლობა ამ დანაშაულებზე? რომელმა ტრიბუნალმა დაგმო აშშ-ის მიერ იქ დაღვრილი სისხლის ზღვა?!“, - განაცხადა მედვედევმა.

ამასთან, რუსმა მაღალჩინოსანმა აპოკალიფსზე მინიშნებით აღნიშნა, რომ შეერთებულმა შტატებმა და მისმა „გამოუსადეგარმა მარიონეტებმა უნდა დაიმახსოვრონ ბიბლიის სიტყვები: „ნუ განიკითხავთ და არ განიკითხებით!“, რათა ერთ დღეს არ დაატყდეთ უფლის რისხვის დიდი დღე“.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

ეს არის გრძელი გზა, მაგრამ ახლავე უნდა დავიწყოთ, - განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა უკრაინის კრიტიკული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციისა და აღდგენის გეგმაზე საუბრისას. მისი თქმით, გაერო უკვე ამზადებს საამისოდ საფუძველს. უკრაინის პრემიერ-მინისტრმა დენის შმიგალმა ლუგანოს კონფერენციაზე წარადგინა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 750 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფას ქვეყნის აღსადგენად ომის დროს და ომის შემდეგ. გეგმის თანახმად, პირველ რიგში, აღდგება ხიდები და წყალმომარაგება, 2023 წლიდან 2035 წლამდე კი სკოლები, საავადმყოფოები და სახლები. ლუგანოს დეკლარაციას 40-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი.

* * *

კანადა გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც მოახდინა ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანების ოქმის რატიფიცირება. ეს ნაბიჯი ამ ორ ქვეყანას სრულ წევრობასთან აახლოებს, - ამის შესახებ განაცხადა კანადის პრემიერ-მინისტრმა ჯასტინ ტრუდომ. მისი თქმით, ფინეთისა და შვედეთის წევრობა გააძლიერებს ალიანსს. „მოვუწოდებთ ნატოს ყველა წევრს, სწრაფად დაასრულონ რატიფიკაციის პროცედურები, რათა მოწინააღმდეგეების ჩარევის შესაძლებლობა შეზღუდონ“, - განაცხადა კანადის პრემიერმა.

* * *

ევროკავშირში გაწევრიანება ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტია, - განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ. მისივე თქმით, ევროკავშირის გაფართოებას ხელს უშლის სხვადასხვა დამოკიდებულება ამ პროცესისადმი გაერთიანების შიგნით. „იმისთვის, რომ ქვეყანა გახდეს ევროკავშირის წევრი, არსებობს 36 სექცია. საჭიროა ამ განყოფილებების გახსნა და დახურვა. მოლაპარაკებები უნდა გაიმართოს გახსნასა და დახურვას შორის“, - თქვა ჩავუშოღლუმ და მოუწოდა ევროკავშირს, მოხსნას პოლიტიკური დაბრკოლებები. შეგახსენებთ, რომ თურქეთი ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა 1999 წელს, განაცხადის შეტანიდან 12 წლის შემდეგ გახდა.

* * *

რუსეთმა, მარცვლეულის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, შავ და აზოვის ზღვებში ორი ჰუმანიტარული დერეფანი შექმნა, - ამის შესახებ ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ განაცხადა. „ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები შავი და აზოვის ზღვების წყლებში ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მარიუპოლის პორტის წყლებში ნაღმებთან დაკავშირებული საფრთხე სრულად აღმოიფხვრა“, - აღნიშნა მან.

* * *

ბოლო 70 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერი გვალვის ფონზე, იტალიამ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილის 5 რეგიონში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, კერძოდ კი ემილია-რომანიას, ფრიული-ვენეცია-ჯულიას, ლომბარდიის, პიემონტისა და ვენეტოს რეგიონებში. ქვეყანა გვალვასთან გასამკლავებლად 36.5 მილიონი ევროს გამოყოფას გეგმავს.

მოამზადა
ია შველიძემ

„ყოველთვის მზად ვარ, ნებისმიერ შეკითხვას ვუპასუხო“

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, ქალაქ ბათუმის საკრებულომ მუშაობა განაახლა. მეხუთე მოწვევის საკრებულოს დეპუტატებმა, ფარული კენჭისყრით, 18 ხმით, რამაზ ჯინჭარაძე თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს. მას მიმდინარე წლის 2 აპრილს ბათუმში გამართულ შუალედურ არჩევნებში გონიო-კვარიათის, ადლია-აეროპორტისა და აღმაშენებლის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობის 69 პროცენტმა დაუჭირა მხარი.

რა მოლოდინები აქვს და როგორ გეგმავს ოპოზიციასთან თანამშრომლობას? - ამ და სხვა საინტერესესო თემებზე ***რამაზ ჯინჭარაძე*** *თავად გვესაუბრება.*

- ბატონო რამაზ, როგორია თქვენი მოლოდინები ამ მოწვევის საკრებულოში?

- საკრებულოს თითოეული წევრისთვის, უპირველესად, ეს არის დიდი პასუხისმგებლობა, ხალხი გვენდო და ვალდებული ვართ, ეს ნდობა გავამართლოთ. ჩვენი მთავარი ამოცანაა, დროულად განვახორციელოთ ის საკანონმდებლო თუ საბიუჯეტო ცვლილებები, რომლებიც ასე სჭირდება ბათუმს და რომელიც შემდგომში აისახება ჩვენი ქალაქისა და თანაქალაქელების კეთილდღეობაზე. მაქვს მოლოდინი, რომ საკრებულოს წევრები, მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური გემოვნებისა, ქალაქისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას, იქნებიან კონსტრუქციულნი და ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობა და ქალაქის განვითარება ყველასთვის იქნება საერთო პრიორიტეტი.

- ექვსთვიანი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, საკრებულო შეიკრიბა. როგორ შეაფასებთ ამ ეტაპზე მის მუშაობას?

- იცით, რომ ეს იყო ხელოვნურად შექმნილი კრიზისი და ამის გამო, უპირველესად, დაზარალდა ქალაქი და მისი მოსახლეობა. ბათუმში გამართულ შუალედურ არჩევნებში, გონიო-კვარიათის, ადლია-აეროპორტისა და აღმაშენებლის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც კენჭს ვიყრიდი, ჩემს გუნდთან ერთად დამაჯერებელი გამარჯვება მოვიპოვე. დასრულდა საარჩევნო პროცესი და საკრებულოს უნდა დაეწყო მუშაობა. ხელოვნური ბარიერის გამო ქალაქის მაჯისცემა არ უნდა შენელებულიყო, რადგან ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი პროექტი იყო გაჩერებული, ბიუჯეტის სხვადასხვა პროგრამული მიმართულებით, რომლებსაც მოსახლეობა ელოდებოდა, ასე რომ, შევიკრიბეთ და რამდენიმე სხდომა უკვე ჩავატარეთ. საკრებულოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სტრუქტურების ხელმძღვანელები არჩეული არიან და კომისიების პერსონალური შემადგენლობებიც დაკომპლექტებულია. ამჟამად საკრებულოს გამართულად მუშაობისთვის ყველა პირობაა შექმნილი. პოლიტიკური საქმიანობის მხრივაც, პოლიტიკურ სუბიექტებს მიეცათ შესაძლებლობა, დაერეგისტრირებინათ ფრაქცია და ამ ფორმატში გაეგრძელებინათ მუშაობა. 6 თვის თავზე, როცა პირველად შეიკრიბა საკრებულო, სხდომას არ ესწრებოდა ოპოზიცია, თუმცა მომდევნო სხდომას, რომელზეც რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილებოდა, ისინი დაესწრნენ და გადაწყვეტილებების მიღებისას რამდენიმე საკითხს მხარიც დაუჭირეს. რა თქმა უნდა, სხდომაზე ყველა საკითხი მნიშვნელოვანი იყო, თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ორ საკითხს, რომელიც გაჩერებული იყო. პირველი გახლავთ „იაფი სახლის“ პროგრამა, რომელსაც მერია ახორციელებს. მოსახლეობა დიდხანს ელოდა ფართების გადაცემას და იმის გამო, რომ საკრებულო ვერ შეიკრიბა და ვერ მიიღო გადაწყვეტილება, ეს საკითხი ძალიან მწვავედ იდგა. მეორე „ავარიული სახლების პროგრამა ბათუმში“ გახლავთ, რომლის დამტკიცებაც იმავე მიზეზით ვერ ხერხდებოდა. ყველას კარგად მოეხსენება, რამდენად აქტუალურია ბათუმში ავარიული სახლების თემა და ვინაიდან საკრებულო ვერ იკრიბებოდა, შესაბამისად, ვერც მერია იწყებდა მუშობას პროგრამის განხორციელებაზე. დღეს ეს ბარიერი გადალახულია - ამ საკითხების მხარდაჭერისას საკრებულოს თითოეული წევრი იყო ერთსულოვანი, რაც ძალიან კარგია, ასე რომ, პირადად ჩემი და ჩვენი გუნდის მიზანია, საკრებულომ, მერიასა და საკრებულოში წარმოდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებთან ერთად, იმუშაოს იმ საკითხებზე, რომლებიც მოსახლეობის კეთილდღეობასა და ქალაქის განვითარებას სჭირდება.

კონსტრუქციული თანამშრომლობის პირობებში ამ მოწვევის საკრებულოს აქვს შესაძლებლობა, წარმატებით გაუმკლავდეს ქალაქში არსებულ ყველა გამოწვევას.

- ოპოზიციასთან თანამშრომლობას როგორ ფიქრობთ? გაითვალისწინებთ თუ არა მათ შენიშვნებსა და მოსაზრებებს?

- ოპოზიციასთან ჩვენ გვექნება კონსტუქციული დიალოგი. მქონდა შეხვედრები მათთან. გავითვალისწინებთ ყველა ჯანსაღ მოსაზრებას, რომელიც ქალაქს და მოსახლეობის კეთილდღეობას წაადგება. ჩემი კარი ყველასთვის ღიაა და ჩემს გუნდთან ერთად, მე მზად ვარ მათთან ერთად განვიხილო საღი და ქალაქზე მორგებული თემები. თუ რა ფორმატში გავაგრძელებთ მუშაობას, ჩვენს ქალაქსა და ბათუმელებზე აისახება დადებითად. ამ მიმართულებით პირადად ვიღებ ჩემს წილ პასუხისმგებლობას.

- როგორია პრიორიტეტები და პირველ რიგში მოსაგვარებელი პრობლემები ამ დროისთვის?

- ქალაქი ბევრი გამოწვევის წინაშეა. ამ ეტაპზე, ერთ-ერთი თემა, რომელიც ბათუმელებისთვის არის საინტერესო, ბულვარის გენგეგმაა. იცით, რომ საკითხი მალე შემოვა საკრებულოში განსახილველად და მისი გადაწყვეტა ერთხელ და სამუდამოდ დაასრულებს კამათს ამ თემაზე. ბულვარს საბოლოოდ მოუგვარდება პრობლემა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ერთ-ერთი საკითხია, ასევე, ის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც ქალაქის ცენტრალური უბნის რამდენიმე ქუჩაზე მიმდინარეობს. ქვაფენილის შეცვლასთან დაკავშირებით, არის სხვადასხვა მოსაზრება. უნდა ითქვას, რომ ეს ქვაფენილი თავიდანვე არასწორად და უხარისხოდ იქნა დაგებული, რის გამოც ძალიან ბევრი პრობლემა შეიქმნა. გარდა იმისა, რომ მძღოლებისთვის და ფეხით მოსიარულეებისთვისაც წარმოადგენდა პრობლემას (იყო ასხლეტილი ქვებისგან დაზიანების რამდენიმე შემთხვევაც), შშმ პირებსაც ექმნებოდათ პრობლემები ეტლით გადაადგილებისას, სანიაღვრე ჭებში ჩახვეტილმა ქვიშამ კი მათი გადავსების პრობლემაც გამოიწვია. ბევრი შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ეკოლოგიური თვალსაზრისით ქვაფენილი უფრო გამართლებულია, მაგრამ აქვე ისიც უნდა ვთქვათ, ხარისხიანად დაგებული რომ ყოფილიყო და დაქვემდებარებოდა მოვლა-პატრონობას, მისი შეცვლის საჭიროება არ დადგებოდა.

- საკითხი, რომელიც ბათუმელებს აწუხებს და არაერთხელ გახმოვანებულა არის ის, რომ ქალაქი დღითი დღე კარგავს იერსახეს, განსაკუთრებით - ძველი ბათუმი. პრობლემაა მაღალსართულიანი კორპუსებიც, რომლებიც ბოლო პერიოდში ქაოსურად შენდება. ბათუმს არ აქვს გენგეგმა, ქალაქში არ არის საპარკინგე ადგილები, შენობებს არ აქვს ეზო, ბავშვებს კი სათამაშო სივრცეები...

- ერთი რამ შემიძლია გითხრათ: ამ მოწვევის საკრებულო არ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომლებიც ბათუმს დააზიანებს. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ბევრი ქალაქი მინახავს, სადაც მრავალსართულიანი შენობები დიდ ეფექტს ქმნის, ოღონდ ეს უნდა იყოს ბრენდული და ყველასგან განსხვავებული. გეთანხმებით, რომ მშენებლობები არ უნდა მიმდინარეობდეს ქაოსურად. წლის ბოლოსთვის დასრულდება გენგეგმაზე მუშაობა და ქალაქს ექნება მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლითაც იხელმძღვანელებენ არქიტექტურის სამსახური, სამშენებლო კომპანიები და, შესაბამისად, პრობლემაც მოგვარდება. პარკინგს და ეზოებს რაც შეეხება, როცა გენგეგმა იქნება, ეს თემა საბოლოოდ ამოიწურება. ამ საკითხებზე გუნდში არაერთხელ გვიმსჯელია და ვთანხმდებით, რომ პრობლემა უნდა აღმოიფხვრას. ჩემი პოზიცია უკვე გამოვხატე მშენებლობასთან დაკავშირებით, რომ არის უბნები, სადაც მაღლივი კორპუსები უხდება ქალაქს, არ ვგულისხმობ ძველი ბათუმის უბანს. ვთანხმდებით იმაზეც, რომ ეს უბანი უნდა იყოს სავიზიტო ბარათი და ყოველთვის ვიქნები იმ აზრზე, რომ ძველ ბათუმს შეუნარჩუნდეს თავისი იერსახე.

- მოსახლეობას ქალაქის ისტორიულ უბანში ხშირად პრობლემები აქვს ავარიული საცხოვრისის გამო, ამდენად მისთვის მისაღებია ინვესტორი და პირობების გაუმჯობესება, რასაც კრიტიკა მოჰყვება...

- ძველ ბათუმში უფრო ღრმად გამოვიკვლევთ არსებულ სიტუაციას. ძალიან ბევრი პრობლემაა იტალიურ ეზოებში, სადაც შენობები (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს არ ვგულისხმობ) გარკვეული დოზით რეკონსტრუქციას მოითხოვს. არის შენობები, რომლებიც რაღაც ნაწილში აღდგენასაც აღარ ექვემდებარება. ჩემი აზრით, მაღლივი კოპუსების მშენებლობა ამ შემთხვევაშიც კი დაუშვებელია და არც განიხილება, მაგრამ ფაქტია, იქ მცხოვრებ მოსახლეობას სჭირდება დახმარება და ამაზე უნდა ვიფიქროთ.

- ოპოზიცია ამ მოწვევის საკრებულოში მრავლადაა წარმოდგენილი. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში, როგორ ფიქრობთ საკითხების დადებითად გადაწყვეტას?

- საკრებულო გახლავთ წარმომადგენლობითი ორგანო და მისი თითოეული წევრი ინდივიდუალურად იღებს გადაწყვეტილებას. ჩვენი გუნდი ღირსეული წევრებითაა დაკომპლექტებული და საკმარისი ხმა გვაქვს, რომ საკითხი განვიხილოთ და დავამტკიცოთ. ზემოთაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: ოპოზიციასთან კონსტუქციულ თანამშრომლობას ვგეგმავთ და ეს უკვე დაინახა მოსახლეობამ - ჩვენ ერთად, სრული უმრავლესობით მივიღეთ ქალაქისა და მოსახლეობისთვის საჭირო გადაწყვეტილებები რამდენიმე საკითხზე და იმედი მაქვს, მომავალშიც მსგავსი მხარდაჭერა არაერთხელ გვექნება. არ აქვს მნიშვნელობა, სოციალური სფერო იქნება, სამშენებლო, ბიზნესი თუ სხვა მიმართულება, ყველა სფერო არის მისახედი. ბიზნესი თუ არ განვითარდა, შემოსავალი არ ექნება ქალაქს. სოციალური პროექტები, რაც უნდა განვახორციელოთ, ბიზნესის ხელშეწყობის გარეშე წარმოუდგენელია. ყველაფერი უნდა ჩაჯდეს სამართლებრივ სივრცეში, რაც არის საზოგადოების მოთხოვნა.

- საკმაო პეროდი მუშაობდით აჭარის ჯანდაცვის სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე. ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა ამ პერიოდში და ბევრი მადლიერი ოჯახიც გყავთ. საკრებულოს თავმჯდომარის პოზიციაზე როგორ გრძნობთ თავს, დაირღვა თუ არა თქვენი კომფორტის ზონა?

- აჭარის მთავრობაში ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ვიყავი. საჯარო სექტორში მუშაობის 25-წლიანი გამოცდილება მაქვს და ამ წლების განმავლობაში არაერთი სასიკეთო საქმე მიკეთებია, არაერთ ადამიანს დავხმარებივარ და დამიკვალიანებია. თუმცა უნდა ვთქვა, რომ წარმომადგენლობით ორგანოში მუშობა ჩემთვის გამოწვევაა და დარწმუნებული ვარ, შევძლებ იმას, რომ მოსახლეობა კმაყოფილი იყოს. პარტია, რომელსაც წარმოვადგენ, საუკეთესო წევრებითაა დაკომპლექტებული და გარდა ამისა, საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა სახით აქ დამხვდა ის გუნდი, რომელიც მიადვილებს მუშაობას, რაც მომწონს და ვაფასებ. დანარჩენს დრო გვიჩვენებს. ყველანი ბათუმელები ვართ, აქ არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა პოზიციასა და ოპოზიციას, ყველა უკლებლივ ამ ქალაქს წარმოვადგენთ და ქალაქის განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული. თუ ვინმეს წინადადება ექნება ამ ქალაქისთვის რაიმე სასიკეთო გააკეთოს, სიამოვნებით მოვუსმენ, მე ასე მინდა, ყოველ შემთხვევაში. რთულია საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ ის გამოცდილება, რაც დამიგროვდა, ამის თქმის საშუალებას მაძლევს. როცა მაღალ თანამდებობებზე ვმუშაობდი, მაქსიმალურად ვცდილობდი, კონსტრუქციული ვყოფილიყავი, მომესმინა, გამეთვალისწინებინა ყველას აზრი და გადაწყვეტილებაც შესაბამისი მიმეღო. ბოლო პერიოდზე გავაკეთებ აქცენტს. ბატონი თორნიკე რიყვაძის ხელმძღვანელობით, ძალიან დიდ სოციალურ საკითხებს შევეჭიდეთ, „ოცნების ქალაქი“ დიდი გამოწვევა იყო ამ ხელისუფლებისთვის და ისე მოვახერხეთ, რომ ბოლომდე მივიყვანეთ. იცით, რომ 582 ბინა შენდება და ეს პროცესი გრძელდება, შემუშავდა კრიტერიუმები და მიხარია, რომ ამ საქმეში ჩემი პატარა წვლილიცაა იმ ხელმძღვანელებთან ერთად, ვისთანაც მომიწია მუშაობა.

- საკრებულო რაღაც დოზით პასუხისმგებლობას იღებს თავის დეპუტატებზე. არ შემიძლია აქვე არ გკითხოთ თქვენ თანაგუნდელ რიჩარდ სირაბიძის ირგვლივ ზედიზედ ატეხილ აჟიოტაჟზე. პირველი - მართვის მოწმობასთან დაკავშირებით, მეორე კი ბსუ-ის სტუდენტების დახურულ ჩატში მიმოწერას ეხება.

> *„ ძალიან ბევრი პრობლემაა იტალიურ ეზოებში, სადაც შენობები (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს არ ვგულისხმობ) გარკვეული დოზით რეკონსტრუქციას მოითხოვს. არის შენობები, რომლებიც რაღაც ნაწილში აღდგენასაც აღარ ექვემდებარება. ჩემი აზრით, მაღლივი კოპუსების მშენებლობა ამ შემთხვევაშიც კი დაუშვებელია და არც განიხილება, მაგრამ ფაქტია, იქ მცხოვრებ მოსახლეობას სჭირდება დახმარება და ამაზე უნდა ვიფიქროთ*

- რიჩარდ სირაბიძე არის საკრებულოს წევრი, პერსპექტიული და კარგი ახალგაზრდა. მართვის მოწმობას რაც შეეხება, პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს თითოეული ადამიანის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხია, ხოლო ჩატის თემასთან დაკავშირებით, როგორც თავად განაცხადა და როგორც მე მაქვს ინფორმაცია, ეს იყო „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა ჩატი, რომლის შექმნის უფლება ყველა პოლიტიკური ორგანოს წარმომადგენელს აქვს. ჩატის მიმოწერის შინაარსში არ შევალ.

- პირადი ინიციატივა თუ გაქვთ, რასაც შესთავაზებდით საკრებულოს განსახილველად და რითაც დაამახსოვრებდით თავს მოსახლეობას?

- ბათუმის მერია მრავალმხრივი მიმართულებით მუშაობს, ხორციელდება როგორც სოციალური, ჯანდაცვის პროგრამები, ისე ინფრასრუქტურული პროექტები, „იაფი სახლის“ და „ავარიული სახლის“ პროგრამები რად ღირს მარტო, თუმცა გამოწვევაც ბევრია. გვაქვს გეგმები, რომლებზეც ვაპირებთ ერთობლივად მუშაობას, წინასწარ არ ვისაუბრებ, თუმცა გეტყვით, რომ ეს იქნება ისეთი მიმართულებები, რომლებიც ჩვენი ბათუმისთვის მისაღები იქნება და მოსახლეობის საჭიროებებს უპასუხებს. ჩემი სურვილია, ბათუმი, რომელსაც შავი ზღვის აკვატორიაში ერთ-ერთი ულამაზესი მდებარეობა აქვს, განვითარებული და მიმზიდველი ევროპული ქალაქი იყოს. ჩემს გუნდთან ერთად, ოპოზიციასთან აქტიური თანამშრომლობით, ვფიქრობ, ამას ერთობლივად მივაღწევთ.

- საკრებულოს დარბაზში დღემდე რემონტი მიმდინარეობს და სხდომები ბსუს-ის დარბაზში ტარდება. მალე განახლებულ დარბაზში შეიკრიბება საკრებულო. დეპუტატების გაზრდილი რიცხვის გამო, სხდომებზე მოსახლეობის დასწრება შეიზღუდება. გამოსავალს რაში ხედავთ?

- იცით, რომ კანონში ცვლილების შემდეგ საკრებულოს წევრთა რაოდენობა 25-დან 35-მდე გაიზარდა. სამწუხაროდ, ამ დარბაზის სივრცე მოქალაქეების ადრინდელი

იხ. მე-6 გვ.

„ჩვენმა ახალგაზრდობამ უკვე ბევრჯერ დაამტკიცა, რომ საქართველოს ადგილი ევროპულ ოჯახშია“

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

*საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა, ახალგაზრდული სფეროს განვითარება და არაფორმალური განათლებისთვის საჭირო გარემოს შექმნა - მოკლედ ასე შეიძლება შეფასდეს არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდები საქართველოსთვის“ არსი და დანიშნულება, რომლის შესახებაც უფრო დეტალურად ზემოაღნიშნული ორგანიზაციის მენეჯერი, ბსუ-ის სტუდენტი **თამთა ჯაფარიძე** გვესაუბრება.*

- როდის დაარსდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდები საქართველოსთვის“ და რა არის მისი მიზანი?

- პროექტის იდეა ჯერ კიდევ პირველ კურსზე გაუჩნდა ჩემს მეგობარ გოგა ბაუჟაძეს. მას სურდა, პარლამენტის ფორმატის მსგავსი პროექტი გაეკეთებინა, რომლის მეშვეობით განიხილავდნენ საქართველოში არსებულ რთულ და გადაუჭრელ საკითხებს, ახალგაზრდები მოძებნიდნენ გადაჭრის ალტერნატიულ გზებს. ჩვენი ორგანიზაცია ივნისიდან ფუნქციონირებს. პროექტის მიზანია, მივცეთ ახალგაზრდებს შესაძლებლობა, მიიღონ თანამედროვე, მაღალი ხარისხის განათლება და გამოცდილება, რომელიც იქნება დასაქმებაზე ორიენტირებული. ასევე, გაიღრმაონ კრიტიკული, ანალიტიკური და ლიდერული უნარ-ჩვევები, დაეუფლონ საჯარო გამოსვლების, დებატებისა და მოლაპარაკებების ხელოვნებას, იმუშაონ საქართველოში მიმდინარე ყველაზე აქტუალურ, პრობლემატურ საკითხებზე, შეიმუშაონ გლობალური პრობლემების გადაჭრის საკუთარი გზები. ასევე, ჩვენი პროექტის მიზანია, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის გავაღრმაოთ არსებული ურთიერთობა, რომელიც აუცილებლად უნდა დაეფუძნოს ურთიერთმხარდაჭერას, ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლას. ახალგაზრდებს უნდა მივცეთ შესაძლებლობა, გახდნენ უფრო მეტად აქტიურები, ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებში, ასე რომ, ჩვენ განვახორციელებთ სტუდენტურ პროექტებს და ხელს შევუწყობთ მათ საკუთარი იდეის რეალიზებაში. ჩვენი პლატფორმის ძირითადი ამოცანაა ახალგაზრდებში ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და კავშირების დამყარება, მოხალისეობრივი საქმიანობის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა. ამ მცირე ხნის განმავლობაში, პროექტის მოგებასთან ერთად, ჩვენ შევძელით ჩამოგვეყალიბებინა სამომავლო გეგმები, რომელთა განხორციელებასაც მალე შევუდგებით.

- მართლაც მნიშვნელოვანი მიზანი დაისახეთ. ამ მხრივ რა მდგომარეობაა ჩვენს რეგიონში?

- ვფიქრობ, ყველაზე მეტად დამაიმედებელი ჩვენი ქვეყნის და ასევე რეგიონისთვის ახალგაზრდული ძალა, შემართება და აზროვნებაა. სწორედ ახალგაზრდული აზროვნება და შეხედულებები გახლავთ ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც რეგიონის წინაშე არსებული პრობლემების (მათ შორის, ახალგაზრდული პრობლემების) დაძლევაში უმთავრეს როლს ითამაშებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ გარკვეული გამოწვევები აღნიშნული კუთხითაც არსებობს, შეინიშნება ნიჰილისტური მიდგომებიც ახალგაზრდებში, თუმცა, ვფიქრობ, ეს დაიძლევა. „ახალგაზრდები საქართველოსთვის“ და მსგავსი ორგანიზაციები ამ მიმართულებაზე არიან ორიენტირებული. იმედი გვაქვს, ჩვენი მუშაობით სამოქალაქო საქმიანობის მიმართ ნიჰილისტურად განწყობილ ბევრ ახალგაზრდას ავუმაღლებთ მოქალაქეობრივ თვითშეგნებას, ჩავრთავთ თავიანთი რეგიონის, კუთხის პრობლემების მოსაგვარებელ მუშაობაში.

- რამდენად აქტიურობენ ახალგაზრდები ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში და, ასევე, რა ხელის შემშლელი ფაქტორები იკვეთება თქვენი თვალთახედვით?

- აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში უამრავი პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური პროცესის ავანგარდში სწორედ ახალგაზრდული, სტუდენტური ძალაა. ხშირად ხდება მათი ორგანიზება კონკრეტული პრობლემის ირგვლივ და ისინი ამ სირთულეების მოსაგვარებლად რადიკალურ პროტესტსაც არ ერიდებიან. ამასთანავე, არსებობს უამრავი ორგანიზაცია, პროექტი თუ მისია, რომელიც დიდ როლს თამაშობს საზოგადოებრივი განათლების კუთხით და აღნიშნულის მთავარი შემოქმედნიც სწორედ ახალგაზრდები არიან, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნე, მაინც არის ახალგაზრდების დიდი ნაწილი, რომელიც ქვეყანაში და რეგიონში მიმდინარე პროცესების მიმართ ინერტულია. ამიტომაც გვინდა ამ მიმართულებით მუშაობა და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივ, სამოქალაქო ცხოვრებაში.

- რამდენად მნიშვნელოვანია, იყო აქტიური ახალგაზრდა ქვეყნის საკეთილდღეოდ?

- ვფიქრობ, აქტიური ახალგაზრდის სტატუსის ქონა ძალზედ მნიშვნელოვანი და სავალდებულოც კია ყოველი ჩვენგანისთვის, რადგან სწორედ ახალგაზრდები ვართ ის მამოძრავებელი ძალა, რომელსაც შესწევს უნარი ყველა სფერო შევცვალოთ უკეთესობისკენ. აქტიური ახალგაზრდები ქმნიან უკეთეს საზოგადოებას. მაშასადამე, ასეთი ახალგაზრდების მუშაობა ხელს უწყობს ცხოვრების ყველა ასპექტის გაუმჯობესებას.

- ვის შეუძლია შემოგიერთდეთ და როგორ?

- ორგანიზაცია სექტემბრის თვეში განათავსებს აპლიკაციას, რომლის შევსება შეეძლება 14-27 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს, ისინი შეირჩევიან გასაუბრებისა და რეზიუმეს მიხედვით, სპეციალური კომისიის მიერ.

- გაქვთ თუ არა ურთიერთობა ანალოგიურ ორგანიზაციებთან სხვა უნივერსიტეტებში?

- ამჟამად, არა, თუმცა სამომავლოდ ვგეგმავთ თანამშრომლობას მათთან.

- როგორც ცნობილია, რუსული პროპაგანდა ყველანაირად ცდილობს საქართველოში ანტიდასავლური განწყობის გაღვივებას, ჩვენი სტუდენტები რამდენად გაცნობიერებულნი არიან დასავლურ ღირებულებებში?

- რუსული პროპაგანდა ყველაზე მყიფე სწორედ სტუდენტებთან მიმართებით გახლავთ. ჩვენმა ახალგაზრდობამ უკვე ბევრჯერ დაამტკიცა, რომ საქართველოს ადგილი ევროპულ ოჯახშია და არასდროს შეეგუება რუსული ჩექმის ბატონობას. ევროპული ღირებულებების ამაღლების კუთხით ძალზე მნიშვნელოვანია ის გაცვლითი პროგრამები, რომლებსაც უამრავი უნივერსიტეტი, მათ შორის, ბსუ გვთავაზობს. დასავლეთში განათლებამიღებულ და სწორ პრინციპებზე აღზრდილ ახალგაზრდებზე არანაირი პროპაგანდა აღარ მოქმედებს, განსაკუთრებით კი რუსული. ანტისაოკუპაციო აქციებში თუ სხვა ღონისძიებებში პროცენტულად ყველაზე მეტი სტუდენტი გახლავთ ჩართული, აღნიშნულიც კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ ჩრდილოელი მეზობლის პროპაგანდა ჩვენზე არ მუშაობს. შეიძლება სტუდენტებშიც იყვნენ ადამიანები, რომლებზეც რუსული და მათი სატელიტი ორგანიზაციებისა თუ პარტიების პროპაგანდა ჭრის, თუმცა დამერწმუნებით, მათი რიცხვი იმდენად მცირეა, აღნიშვნადაც არ ღირს.

- როგორც ამბობენ, მრავალმხრივი ინტერესით გამოირჩევით, სწავლობთ ბსუ-ში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის მეორე კურსის სტუდენტი ხართ, ასევე, არც ჟურნალისტიკაა თქვენთვის უცხო... მაინც, სად ხედავთ საკუთარ ადგილს?

- ჩემი ინტერესის სფერო მრავალმხრივია, თუმცა გეტყვით, რომ საკუთარ თავს საბოლოოდ მაინც სკოლაში ვხედავ, რადგან ეს არის ჩემთვის ერთგვარი გამოწვევა და, ამავდროულად, უნიკალური შესაძლებლობა, გავუზიარო ბავშვებს დაგროვილი ცოდნა, გამოცდილება. რაც ყველაზე მთავარია, მინდა, რომ სკოლის მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ არაფორმალურ განათლებაში.

- როგორც აქტიური სტუდენტი, სხვადასხვა პროექტსა და შეხვედრის ორგანიზებაში მონაწილეობთ...

- მოხალისეობა, პროექტებში ჩართვა თუ სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება ჩემთვის ძალიან საინტერესოა, თუმცა, ამ ეტაპზე, ყველაზე პრიორიტეტული ჩვენი ორგანიზაცია გახლავთ.

- სულიერი ზრდისთვის რას აკეთებთ, ანუ კულტურა, ხელოვნება და - თქვენ...

- ზოგადად, ვფიქრობ, რომ მასაზრდოებს ყოველდღიურობა, სამყაროს აღქმის ჩემეული ხედვა, ჯანსაღი ურთიერთობები, პოეზია და, რაც მთავარია, ლიტერატურა.

- წიგნი - თქვენს ცხოვრებაში... და ახლა რას კითხულობთ?

- წიგნს ჩემს ცხოვრებაში ძალიან დიდი ადგილი უჭირავს. ჩემი სამომავლო პროფესიიდან გამომდინარე, შეიძლება, იგი ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილადაც კი ჩავთვალო, რადგან მუდმივად მიწევს როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურის კითხვა, ზოგადად კი ვერ ვაძლევ თავს იმის თქმის უფლებას, გამოვყო საყვარელი წიგნი, მწერალი, ჟანრი... ვფიქრობ, არ არსებობს ცუდი წიგნები, ყველა წიგნს შეუძლია რაღაც გვასწავლოს, გაგვაცნოს კულტურა, გვამოგზაუროს დროში და ასე შემდეგ, ამჟამად კი „ბუზთა ბატონს“ ვკითხულობ.

> *„ევროპული ღირებულებების ამაღლების კუთხით ძალზე მნიშვნელოვანია ის გაცვლითი პროგრამები, რომლებსაც უამრავი უნივერსიტეტი, მათ შორის, ბსუ გვთავაზობს. დასავლეთში განათლებამიღებულ და სწორ პრინციპებზე აღზრდილ ახალგაზრდებზე არანაირი პროპაგანდა აღარ მოქმედებს, განსაკუთრებით კი რუსული. ანტისაოკუპაციო აქციებში თუ სხვა ღონისძიებებში პროცენტულად ყველაზე მეტი სტუდენტი გახლავთ ჩართული, აღნიშნულიც კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ ჩრდილოელი მეზობლის პროპაგანდა ჩვენზე არ მუშაობს.*

უკრაინის აღდგენა... რუსეთისა და მისი ოლიგარქების აქტივებით

„ჩვენ ვმუშაობთ საკანონმდებლო ბაზაზე, რათა რუსეთის აქტივები და, ნაწილობრივ, ოლიგარქების აქტივები გამოყენებული იყოს უკრაინის აღსადგენად“, - ეს განცხადება ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა სტრასბურგში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გააკეთა. დიპლომატმა ასევე ძალიან წარმატებული უწოდა საერთაშორისო კონფერენციას უკრაინის აღდგენის შესახებ, რომელიც ლუგანოში (შვეიცარია) გაიმართა, რადგან მან შეძლო მრავალი ინიციატივის გაერთიანება და მათი ფოკუსირება ძირითადი პრინციპების განხორციელებაზე.

„რა თქმა უნდა, მართვის სისტემა უნდა არსებობდეს, რომელიც იქნება კომპეტენტური, ანგარიშვალდებული, სანდო ყველა ინიციატივისთვის, რომლებიც მიიღებს დაფინანსებას და აერთიანებს ინვესტიციებსა და რეფორმებს უკრაინის აღსადგენად“ , - განაცხადა ლაიენმა.

ამირან გურიელიძე

„შავი ზღვის ლურჯი პოლიტიკა“ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიება „შავი ზღვის ლურჯი პოლიტიკა“ გაიმართა.

ღია ცის ქვეშ სამეცნიერო პავილიონების გამოფენაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის ბიომრავალფეროვნების, ეკოლოგიის, ბუნებრივი რესურსების, კლიმატის, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურულ-ისტორიული და სხვა მიმართულებით არსებული უახლესი სამეცნიერო კვლევების პრეზენტაციები წარმოადგინეს. მოეწყო გამოფენები, ვორკშოფები, შემეცნებითი ვიქტორინები და ექსპერიმენტები მოსწავლეებისათვის.

ღონისძიების ფარგლებში ბსუ-ის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ხალვაშმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩმა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ სამეცნიერო ნახატების კონკურსში გამარჯვებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებს სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

„შავი ზღვის ლურჯი პოლიტიკა“ მიზნად ისახავდა სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების პოპულარიზაციასა და მკვლევართა მიღწევების გაცნობას ფართო საზოგადოებისათვის.

სიყვარულის 60 წელი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაში გამოიარეს 60 წელი შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხემლისის მკვიდრებმა ნაზიკო ტაკიძემ და ნოდარ ქათამაძემ. ჭვანის ხეობის უხუცესი ახმედ ქარცივაძე მათი ქორწინების დღეს ასე იხსენებს: «სახელი და პატივი ცხემლისელ ქათამაძეებს, კივრიშელ ტაკიძეებს არასდროს აკლდათ. ამ გვარების შვილებს ოჯახში გავლენიანი გვარის რძალი მოჰყავდათ, სასიძოსაც ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ ირჩევდნენ. 19 წლის ნოდარმა იმ დროს დაადგა ჩვენ თანასოფლელ გოგოს თვალი, როცა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ინსტიტუტის პედაგოგიური (დაწყებითი) ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო. ახლაც კარგად მახსოვს ცხემლისელების შესრულებული «მაყრული», მუხამედ ართმელაძის, მამია ჭაღალიძის, ხასან შარაშიძის «განდაგანა». ჭვანის ხეობაში მათ გარეშე ქორწილი იშვიათობა იყო... დილით დავტოვეთ ცხემლისი, ბედნიერ წყვილს წარმატებული მომავალი ვუსურვეთ».

ოჯახის პირველი დიდი სიხარული წუთისოფელში უფროსი ვაჟის - შალვას მოვლინება

- ნოდარის სამინისტროში მუშაობის წლებში, ნაღვარევის სკოლის დირექტორი ვიყავი. ნათესაური კავშირით არ შევურჩევივარ, საქმის მცოდნე, სპეტაკმა სპეციალისტმა კარგად იცოდა, ვინ ვიყავი და რა დამოკიდებულება მქონდა სკოლასთან. ჩვენ ხშირად გვისაუბრია სკოლაში საქმიანი, მზრუნველი ატმოსფეროს შექმნაზე. ერთხელაც, სამინისტროში რომ ვეწვიე, საქაღალდე გახსნა და საქართველოს განათლების მაშინდელი მინისტრის ოთარ ქინქლაძის გამოგზავნილი სამადლობელო ბარათი გამაცნო: «საქართველოს განათლების სამინისტრო გულითად მადლობას გიძღვნით იმ დიდი ამაგისთვის, რომელიც თქვენ გასწიეთ რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში და გაჯილდოებთ ფასიანი საჩუქრით». მინისტრისგან ასეთ შეფასებას იმ ხანად მხოლოდ რჩეული ადამიანები იმსახურებდნენ. მივულოცე და საუბარი განათლების საქმეებზე ჯერ მის სამუშაო ოთახში, შემდეგ ოჯახში გავაგრძელეთ, - იგონებს 80 წელს გადაცილებული პედაგოგი, ნაცვარეველი (ჭვანის ხეობა) იოსებ ქათამაძე.

ნოდარის სამინისტროში 20-წლიანი მუშაობა მარტო ერთი სამადლობელო ბარათით როდი შემოიფარგლება. მას მიანიჭეს აჭარის სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, დააჯილდოეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, სხვა სამთავრობო ჯილდოებით.

ნოდარი განსაკუთრებულად ზრუნავდა განათლების სისტემაში მომუშავე ადამიანებზე, ამაგს უფასებდა მათ, ვინც მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, აჭარის მთიანეთის სკოლებში იყვნენ მივლინებულნი. ანგელინა ვაჭარაძე 17 წლის იყო, როცა ცხემლისის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად მოავლინეს. იმერელმა ანგელინა ვაჭარაძემ და გურულმა ვალიკო კვერენჩხილაძემ 1938 წლის მაისში ოჯახი შექმნეს. მათ გაბედნიერება პირველმა ნოდარის ბაბუამ იუსუფ ქათამაძემ მიულოცა, რომელიც იმ დროს სოფლის თავკაცი იყო. წლების შემდეგ ანგელინა და ვალიკო გურიაში გადავიდნენ საცხოვრებლად და სამუშაოდ. ნოდარმა მხცოვან პედაგოგს ჟურნალისტებთან ერთად გურიაში ჩააკითხა და გაზეთ «აჭარის» საშუალებით ერთხელ კიდევ მოეფერა თაობათა დამკვალიანებელს.

80 წელს მიტანებული ნოდარი 60 წელია ნაზიკოსთან ერთად თავს ევლება ოჯახს. შალვა

და ზურაბი სასახელო შვილებად აღზარდეს. შალვა საგზაო საქმის ინჟინერია. წლების განმავლობაში შუახევში, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტში საქმიანობდა. ახლა კერძო სტრუქტურაშია და ბიზნესითაა დაკავებული. ზურაბიც ძმის კვალს მიჰყვება. ექვსი შვილიშვილის ბებია-ბაბუა ამაყობს, რომ ნათია ინჟინერია, თამარი და ხატია - პედაგოგები, მარიამი - ექიმი, დავითი - მეზღვაური.

დრომ ნოდარის ცხოვრებასა და საქმიანობაში მწარე მოგონებებიც დაუტოვა. აჭარის განათლების სამინისტროში 35 წელი იმუშავა, ბოლოს ისე დაატოვებინეს სამსახური, მადლობაც კი არ უთქვამთ. ნოდარმა გული არ გაიტეხა და კერძო სკოლა «ნერგებში» დაიწყო მუშაობა, სკოლის დამფუძნებელს, პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის კარგი ავტორიტეტი მოიპოვა.

მრავალი ღირსსახსოვარი დღე და წელი ჩამოიფურცლა ნოდარისა და ნაზიკოს ცხოვრების გზა-სავალზე. საზოგადოებას კარგად ახსოვს ეთნომუსიკოლოგ ნინო რაზმაძის ორგანიზებულობით ბათუმის მუსიკალურ ცენტრში გამართული ჭვანის ხეობის ფოლკლორული საღამო. იმ დღეს ნოდარ ქათამაძის ცხოვრება და საქმიანობა შეფასდა «საპატიო შუახეველის» დიპლომის გადაცემით.

- ნოდარის წინაპრები ჭვანის ხეობაში გამორჩეული პიროვნებები იყვნენ. ისიც წინაპრების გზას გაჰყვა, ხეობას, ქვეყანას მრავალი სასიკეთო საქმე გაუკეთა. ნახევარ საუკუნეზე მეტია ერთად მოვდივართ, ერთად გვივლია აჭარის და მეზობელი გურიის სკოლებში. მრავალი პედაგოგი წარმოვაჩინეთ და მათი საქმეები საზოგადოებას გავაცანით. მადლიერმა საზოგადოებამ მას დაბადებიდან 60, 70 წლისთავის იუბილეები გადაუხადა. ახლა ნაზიკოსთან თანაცხოვრების 60 და მისი დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად ვიჭერთ თადარიგს, - დასძინა ნოდარის თანახეობელმა, პროფესორმა აკაკი ზოიძემ.

ნოდარი უკვე დამსახურებულ პენსიაზეა. მას ცხოვრების წესად აქვს ქცეული სხვისი გახარება, ადამიანებზე ზრუნვა. გული იქ მიუწევს, სადაც წინაპრების საძვალეები ეგულება, სადაც ბავშვობისა და ყრმობის წლები გაატარა. ახლაც ღიმილით იხსენებს როგორ ანდეს 17 წლის ჭაბუკს ბრილის 8-წლიანი სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლობა. ასეთი პატივი ერთეულების ხვედრი იყო. სკოლის წარმატებული დირექტორის შოთა ლომთათიძის, ახლობლების რევაზ ქათამაძისა და ახმედ მსახურაძის თანადგომითა და რჩევებით, უმალვე აუღო ალღო პატარებთან ურთიერთობას...

ჭვანის ხეობელები, ყოფილი მოსწავლეები თუ კოლეგები ერთი დღითაც არ ტოვებენ ნოდარს თანადგომისა და ყურადღების გარეშე - ჭვანაში ქართული სკოლის აღდგენის საუკუნოვანი იუბილე რომ გადაიხადეს, საპატიო სტუმრად მიიწვიეს, არც «ჯვარიმინდვრობის» ფესტივალს ჩაუვლია მის გარეშე.

- ხშირად ამბობენ, დრომ დამღალაო, რასაც არ ვეთანხმები. მე დრომ ცხოვრება, საზოგადოებასთან ურთიერთობა მასწავლა. ადამიანების სიყვარულით მოვდივარ, უკან მიხედვის არ მეშინია, რაც მიკეთებია ცხოვრების გზაზე, ყველაფერი - გულისა და გონების კარნახით. საზოგადოებას ჩემი ავტორობით წიგნიც დავუტოვე. 60 წელია ნაზიკოსთან ერთად მოვდივარ. ის დღესაც ჩემი იმედი და საყრდენია, - გვითხრა ნოდარმა.

> ***„ნოდარი განსაკუთრებულად ზრუნავდა განათლების სისტემაში მომუშავე ადამიანებზე, ამაგს უფასებდა მათ, ვინც მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, აჭარის მთიანეთის სკოლებში იყვნენ მივლინებულნი. ანგელინა ვაჭარაძე 17 წლის იყო, როცა ცხემლისის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად მოავლინეს. იმერელმა ანგელინა ვაჭარაძემ და გურულმა ვალიკო კვერენჩხილაძემ 1938 წლის მაისში ოჯახი შექმნეს.***

პანდემიის პერიოდში საქართველოში გეგმური აცრა 5000-მდე ბავშვს არ ჩატარებია

ზიჟრია დავლაძე 579 25 25 72



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, საქართველოში, პანდემიის პერიოდში 5000-მდე ბავშვი სრულად ან საერთოდ არ აცრილა. მიზეზად მშობლების პანიკურ შიშს ასახელებენ, რომელიც ვაქცინაციას და ვაქცინის მიღების შემდგომ პერიოდს უკავშირდება. ბათუმში 3 ივლისს გამართულ შეხვედრაზე, სადაც მედიის წარმომადგენლებთან იმუნიზაციასთან დაკავშირებით დისკუსია მიმდინარეობდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა ბავშვთა გეგმური იმუნიზაცია იყო.

- პანდემიამ საკმაოდ დიდი როლი ითამაშა აცრებით მოცვის მაჩვენებელზე, ამ პერიოდში მთელს მსოფლიოში 10-12%-ით შემცირდა ვაქცინაცია. 23 მილიონს შეადგენს. აქედან 17-მა მილიონმა საერთოდ, არცერთი გეგმური აცრა არ ჩაიტარა, დანარჩენმა კი გამოტოვა რამდენიმე. ამის დაძლევა საკმაოდ რთული პროცესია, ჩვენ გვქონდა კარგი მიღწევები ვაქცინაციის კუთხით. საქართველოში 5000-მდე ბავშვი არ არის სრულად აცრილი, ეს საგანგაშო ციფრია ჩვენი ქვეყნისათვის. მედიის წარმომადგენლების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის. საჭირო და აუცილებელია ყველა ეს ინფორმაცია მიაწოდოთ მოსახლეობას. ყველა ვაქცინა, რომელიც შემოდის ჩვენს ქვეყანაში, არის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული. მსოფლიოში საგრძნობლად შემცირდა წითელათი გარდაცვალების შემთხვევები. წითელა არის ერთ-ერთი დაავადება, რომელიც ელიმინაციის ფაზაშია ახლა და საჭიროა, გარკვეულ ასაკში აიცრან პატარები. იმუნიზაციის პროგრამაში სულ არის ვაქცინით მართვადი 14 დაავადება, აქედან ჩვენ გვაქვს 13 დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინა. სამომავლო პერსპექტივაშია ორი ვაქცინა, რომელიც დაიგეგმება და ჩვენი კალენდარი იქნება სრულყოფილი, მაქსიმალურად მიახლოებული განვითარებული ქვეყნების კალენდართან. მიმდინარე პანდემიამ კარგად დაგვანახა, თუ რა გავლენა მოახდინა ვირუსმა საზოგადოების ცხოვრებაზე. ამიტომ უნდა მოვუწოდოთ ყველას, ჩაიტარონ მიმდინარე გეგმური აცრები. „ბ“ ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა ძალიან მნიშვნელოვანია და საზოგადოების ყველა წევრს მოვუწოდებ, აღნიშნული აცრა ჰქონდეს ჩატარებული, სულ ბოლო ვაქცინა კი, რომელიც დაინერგა და აჭარას ერთ-ერთი დიდი მიღწევა ჰქონდა ამ თვალსაზრისით, არის პაპილომა ვირუსის, ანუ კიბოს საწინააღმდეგო ვაქცინა, - განაცხადა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმთელობის ეროვნული ცენტრის იმუნიზაციის სამმართველოს უფროსმა ლიკა ჯაბნიძემ.

- რაც შეეხება აჭარას, იმუნიზაციის კუთხით, გასულ წელს მოსახლეობის 90%-იანი მოცვა ფიქსირდება, რაც კარგ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. ბოლო 5 თვის მონაცემებით რეგიონში 28% სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა ვაქცინირებულია. თუმცა გასული წლების იმავე პერიოდში აცრილთა რაოდენობა 35%-ს აღემატებოდა. სპეციალისტების თქმით, აუცრელი ბავშვების ვაქცინირებას შემოდგომის დასაწყისში ელოდებიან.

- ბავშვი თუ ვერ მოასწრებს წითელას აცრას, რომელიც ერთი წლის ასაკში გეგმურად ტარდება, შესაძლოა, მოგვიანებითაც აიცრას, თუმცა არის ისეთი ვაქცინები, რომლებიც მოზრდილ ასაკში აღარ მეორდება და სავალდებულოა მათი გეგმურად ჩატარება. თუ ახალშობილს აქვს თანდაყოლილი პათოლოგიები და სხვადასხვა ქრონიკული დაავადება, როგორიცაა გულის პათოლოგიები, სიმსივნური დაავადებები და სხვა, ამ შემთხვევაში, პედიატრის რეკომენდაციით არ ჩატარდება გეგმური აცრები. ამ ეტაპზე, არ გვაქვს ის შედეგი, რაც პანდემიამდე გვქონდა, თუმცა ეტაპობრივად მაინც იცრებიან, რადგან ბაღები და სკოლები ამას ითხოვენ, - განაცხადა გაზეთ „აჭარასთან“ საუბრისას აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და იმუნოპროფილაქტიკის განყოფილების უფროსმა ნანა ჯინჭარაძემ.

შეგახსენებთ, რომ აცრების ეროვნული კა-ლენდრის მიხედვით, გვაქვს „ბ“ ჰეპატიტის, პნევმონიური ინფექციების, როტავირუსული, პოლიომიელიტის ორალური, დიფტერია-ტეტანუსის ვაქცინები, რომლებიც იმუნური სისტემისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით...

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ციფრული განვითარებისა და ტრანსპორტის მინისტრ რაშად ნაბიევს შეხვდა

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სტრატეგიულ პარტნიორობასა და ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას.

„განიხილეს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის ფორმატში. ყურადღება დაეთმო ტრანსპორტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობის განვითარებას. აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება და რეგიონული ლოგისტიკური ჰაბის ჩამოყალიბება. ისაუბრეს საქართველოს სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის განვითარების მიზნით განხორციელებულ და მიმდინარე რეგიონული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. მათ შორის, განიხილეს ბაქო-თბილისი-ყარსის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის პროექტი, საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაციისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის მშენებლობის პროექტები.

ყურადღება დაეთმო ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ვაჭრობის სფეროში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ აზერბაიჯანი ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების ხუთეულშია.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის ელჩი ფაიგ გულიევი, საქართველოს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი და „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი დავით ფერაძე ესწრებოდნენ“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

185,5%-ით მეტი საერთაშორისო მოგზაური... საქართველოში

მიმდინარე წლის ივნისში საქართველოში 445 894 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა, რაც წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს 185,5%-ით აღემატება. ამის შესახებ ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ამა წლის 6 თვეში საერთაშორისო ტურისტების რაოდენობამ 1 209 272 შეადგინა, რაც 186,3%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ამირან გურიელიძე

უკრაინა

უკრაინის საჰაერო ძალების თავდაცვამ გასული დღის განმავლობაში მოწინააღმდეგის 9 ფრთოსანი რაკეტა, საბრძოლო მასალის ორი საცავი, ორი ოცეულის საყრდენი პუნქტები და უამრავი აღჭურვილობა გაანადგურა, ამის შესახებ საჰაერო ძალები იუწყება. „კერძოდ, საჰაერო სარდლობა „აღმოსავლეთმა“ დნეპროპეტროვსკის რეგიონში შავი ზღვიდან გასროლილი „კალიბრის“ ტიპის 7 ფრთოსანი რაკეტიდან 6 გაანადგურა. დაახლოებით 20:00 საათზე დასავლეთის საჰაერო სარდლობამ მტრის კიდევ სამი ფრთოსანი რაკეტა ჩამოაგდო“, - აღნიშნულია ინფორმაციაში. საჰაერო ძალების ცნობით, უკრაინული ავიაცია აგრძელებს შეტევას რამდენიმე სტრატეგიული მიმართულებით და დამპყრობლების პოზიციებს დარტყმას აყენებს. კერძოდ, ბომბდამშენებმა და მოიერიშე თვითმფრინავებმა გაანადგურეს ორი საველე საწყობი, ორი ოცეულის საყრდენი პუნქტები, ოცამდე ერთეული ტექნიკა და რუსების ცოცხალი ძალა.

* * *

ქალაქ ხარკოვსა და მის მახლობლად ღამით აფეთქებების ხმები ისმოდა, - ამ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. საუბარია ოთხ აფეთქებაზე ხარკოვში და ერთზე - ქალაქთან ახლოს. თვითმხილველები აცხადებენ, რომ რაკეტები ბელგოროდიდან ისროლეს. შეგახსენებთ:, გუშინ საღამოს რუსმა ოკუპანტებმა ხარკოვის ოლქის ჩუგუევის რაიონის დაბა პეჩენეგი დაბომბეს, რის შედეგადაც დაშავდა 2 წლამდე ასაკის ბავშვი და 64 წლის კაცი. თავდასხმის გამო დაზიანდა საცხოვრებელი კორპუსები.

* * *

გაერო უკვე ამზადებს საფუძველს უკრაინის კრიტიკული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციისა და აღდგენისთვის. ეს არის გრძელი გზა, მაგრამ ახლავე უნდა დავიწყოთ, - ამის შესახებ გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა განაცხადა. „სახლების, სკოლების, საავადმყოფოებისა და სხვა კრიტიკული ინფრასტრუქტურისთვის მიყენებული ზიანის აღდგენას წლები დასჭირდება“, - დასძინა გუტერეშმა. მან ხაზი გაუსვა, რომ გაერო მზადაა, იმუშაოს „უკრაინის აღდგენისა და განვითარების გეგმაზე“ (უკრაინის პრემიერ-მინისტრ დენის შმიგალის მიერ წარმოდგენილი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 750 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფას ქვეყნის აღსადგენად ომის დროს და ომის შემდეგ). სამ ეტაპად გაშლილი გეგმა, პირველ რიგში, ითვალისწინებს ხიდებისა და წყალმომარაგების დროებით აღდგენას. 2023 წლიდან 2035 წლამდე სკოლები, საავადმყოფოები და სახლები უნდა აღდგეს, ბოლო ეტაპი კი უკრაინას თანამედროვე, მწვანე, ციფრულ ეკონომიკაში გადაიყვანს.

* * *

დონეცკის გუბერნატორი პავლო კირილენკო აცხადებს, რომ ოლქში დარჩენილი 350 000 ადამიანის გაყვანა აუცილებელია მათი სიცოცხლის გადასარჩენად და იმისთვის, რომ უკრაინის არმიას ქალაქების უკეთ დაცვის შესაძლებლობა ჰქონდეს. „მთელი ქვეყნის ბედს დონეცკის რეგიონი გადაწყვეტს. როგორც კი ნაკლები ხალხი იქნება, ჩვენ შევძლებთ მეტი კონცენტრირება მოვახდინოთ მტერზე და შევასრულოთ ჩვენი ძირითადი ამოცანები“, - აღნიშნა კირილენკომ. მუდმივად ოლქის კიდევ ერთი ქალაქი - სლავიანსკი იბომბებოდა. მერმა ვადიმ ლიახმა მოსახლეობას მისი დატოვებისკენ მოუწოდა.

* * *

რუსმა ოკუპანტებმა დონეცკის ოლქში ბოლო ერთი დღის განმავლობაში 5 მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს, 21 კი დაჭრეს, - ინფორმაციას უკრაინული მედია დონეცკის რეგიონალური სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პავლო კირილენკოზე დაყრდნობით ავრცელებს. „5 ივლისის განმავლობაში რუსებმა დონეცკის ოლქში 5 მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს: 2 - ავდიივკაში, 1 - სლავიანსკში, 1 - კრასნოგოროვკაში და 1 - კურახოვოში. დაშავდა კიდევ 21 ადამიანი“, - წერს დონეცკის გუბერნატორი „ტელეგრამში“. უკრაინული მედიის ინფორმაციით, სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყებიდან, რუსებმა დონეცკის ოლქში 570 მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს, 1494 კი დაჭრეს. ეს მაჩვენებელი არ შეიცავს მონაცემებს მარიუპოლიდან და ვოლნოვახადან.

* * *

რუსი აგრესორების მიერ განადგურებული მარიუპოლის აღდგენა 14 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი დაჯდება და ამას 7-10 წელი დასჭირდება, - ამის შესახებ მარიუპოლის მერ ვადიმ ბოიჩენკოს განცხადებაშია აღნიშნული, რომელსაც ქალაქის საკრებულო ავრცელებს. მისი თქმით, ომის გამო 1356 მაღალსართულიანი შენობა განადგურდა ან დაზიანდა, კერძო სახლების 40% დაიბომბა. მათი უმრავლესობა რეკონსტრუქციას არ ექვემდებარება, ამიტომ, გეგმები მოიცავს ახალი ობიექტების მშენებლობას. „ექსპერტების წინასწარი შეფასებით, ინფრასტრუქტურის აღდგენის ღირებულება 14 მილიარდ დოლარზე მეტი იქნება. საბოლოო რიცხვები დეოკუპაციის შემდეგ, დანგრეული სახლების შეფასებისას დასახელდება. ევროპის საინვესტიციო ბანკმა და მსხვილმა უკრაინულმა ბიზნესკომპანიებმა უკვე გამოაცხადეს მზადყოფნა, ხელი შეუწყონ აღდგენის პროცესს“, - განაცხადა ბოიჩენკომ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

კორონავირუსის შემთხვევების ზრდის პიკს შემოდგომაზე უნდა ველოდოთ

ასეთი ვარაუდი გამოთქვა თბილისის ინფექციური საავადმყოფოს გენერალურმა დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ. მისი თქმით, ბოლო პერიოდში საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევები გაიზარდა, თუმცა მსოფლიოში არსებული ტენდენციისგან განსხვავებით, გარდაცვალების შემთხვევები, პრაქტიკულად, ნულოვან ნიშნულზეა.

„მთელ მსოფლიოში ბოლო პერიოდში ახალი შემთხვევების და გარდაცვალების მკვეთრი ზრდა აღინიშნება. საქართველოში განსხვავებული სიტუაციაა. სამწუხაროდ, ახალი შემთხვევების ზრდა ჩვენთანაც ფიქსირდება, მაგრამ გარდაცვალება შენარჩუნებულია ძალიან დაბალ, პრაქტიკულად, ნულოვან ნიშნულზე.

შემთხვევების ზრდა პიკს, ჩემი ვარაუდით, შემოდგომაზე მიაღწევს, მაგრამ ჩვენ არ ველოდებით ისეთ დრამატულ მატებას, როგორიც, ვთქვათ, წლის დასაწყისში იყო“, - განაცხადა ცერცვაძემ.

მისი თქმით, ჩვენი მიზანი სიკვდილიანობის ნულოვან ნიშნულზე შენარჩუნება უნდა იყოს, ამიტომ თენგიზ ცერცვაძე ორი მიმართულების პრევენციულ ღონისძიებას გვთავაზობს.

პირველი ვაქცინაციის გააქტიურებასა და ხალხმრავალ ადგილებში პირბადის ტარებას ეხება, ხოლო მეორე - კორონავირუსის სწრაფ დიაგნოსტიკასა და შესაბამის მკურნალობას.

„ვაქცინაციის პროცესი უნდა გავააქტიუროთ. სასურველია, რომ მოსახლეობამ პირბადე ტრანსპორტში, სამედიცინო დაწესებულებებში და ხალხმრავალი შეკრების ადგილებში გამოიყენოს.

მე სკეპტიკურად ვარ განწყობილი, რომ ჩვენები მასობრივად დაიწყებენ ვაქცინაციას და პირბადეების ტარებას. ეს, დიდი ალბათობით, არ მოხდება, ამიტომ ნებისმიერი ადამიანი, ასაკის მიუხედავად, ვინც შეამჩნევს, რომ რაღაც რესპირაციული სიმპტომები აქვს, მაგალითად, ყელის ტკივილი, ხველა, სურდო, თავის ტკივილი, ტემპერატურის მატება, იმავე დღეს ან, მაქსიმუმ, მეორე დღეს კოვიდზე ტესტი გაიკეთეთ. ეს არის უფასო. კოვიდის დადასტურების შემთხვევაში თქვენს ოჯახის ექიმთან ან ონლაინ კლინიკის ექიმთან კომუნიკაციაში შედით. თუ ჩვენებები არ გაქვთ - იოლად გადაიტანთ, მაგრამ თუ არის ჩვენებები, რომლებმაც შეიძლება დამძიმება გამოიწვიოს, თქვენ „პაქსლოვიდს“ მოგცემენ და გარანტირებული იქნებით, რომ საავადმყოფოში არ მოხვდებით, მით უმეტეს, ლეტალური შედეგი არ დადგება“, - აღნიშნა ცერცვაძემ. მისი თქმით, ქვეყანაში „პაქსლოვიდის“ მარაგები საკმარისზე მეტი გვაქვს.

ამირან გურიელიძე

„ყოველთვის მზად ვარ, ნებისმიერ შეკითხვას ვუპასუხო“

მე-4 გვერდიდან

რაოდენობით დასწრების საშუალებას ვეღარ მოგვცემს. მიუხედავად იმისა, რომ სხდომა პირდაპირი ლაივსტრიმინგით იქნება გადაცემული ადრინდელზე ბევრად უფრო გაუმჯობესებული ხილვადობის ხარისხით, მაინც ეს არასაკმარისია და დამატებით ვგეგმავთ გარეთ მცირე მონიტორის დამონტაჟებას, რომლითაც შესაძლებელი იქნება თვალყურის დევნება. სამწუხაროდ, მეტის საშუალებას ამ ეტაპზე არსებული სივრცე არ იძლევა. ჩვენთვის უფრო მისაღები იქნებოდა, ამ ფორმატის საშუალებას რომ გვძლევდეს არსებული დარბაზი.

- ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხის შესახებაც ვისაუბროთ.

- პერსპექტივა, რომელიც ჩაიწერა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის. მთავრობა, პრემიერის ხელმძღვანელობით, ყველაფერს აკეთებს, რათა პუნქტები, რაც დაგვევალა, შესრულდეს და საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი. ევროპარლამენტს ეს გადაწყვეტილება ახლავე რომ მიეღო, ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ რახან ჩანაწერი გაჩნდა და პერსპექტივა მოგვენიჭა, არა მგონია, ამას ვერ მივაღწიოთ, რადგან ამის რეალური შანსი ჩვენ გვაქვს.

- ბატონო რამაზ, რამდენად ხელმისაწვდომი იქნება თქვენთან კომუნიკაცია მოსახლეობისთვის?

- სამუშაო საათებში, თუ რაიმე ღონისძიებაზე არ ვარ გასული, მუდმივად ადგილზე ვიმყოფები და ვხვდები მოქალაქეებს. ამისათვის განსაკუთრებული დღე არ დამიწესებია. მთავარია, მოქალაქე მოვიდეს და საშვი აიღოს. იგივე შემიძლია ვთქვა ჟურნალისტებზე - ყოველთვის მზად ვარ, ნებისმიერ შეკითხვას ვუპასუხო და არ დარჩეს კითხვის ნიშნები.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა ბაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 6/07/22, 21 ⁴⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„ჩვენებურები“ – ქალაქ ინეგოლში

თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ინეგოლის კავკასიის ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციის ორგანიზებით, მიმდინარე წლის 1-3 ივლისს ქალაქ ინეგოლში ჩატარდა საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი „ჩვენებურები“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, აჭარის რეგიონიდან ფესტივალში მონაწილეობა მიიღო შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ზე-კართან“.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ქალაქების - ინეგოლისა და ბურსის მერებთან, გუბერნატორთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.

თურქეთის რესპუბლიკის ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოებასთან შექმნილია ქართული ცეკვების შემსწავლელი წრე, სადაც 120-ზე მეტი ბავშვია გაწევრიანებული. ფუნქციონირებს ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჩვენებურები“, ქართული ენის შემსწავლელი კურსები და ბიბლიოთეკა, რომელსაც სამინისტრომ გადასცა „დედაენა“ და მხატვრული ლიტერატურა.

სოფელ ჰაირიეში პატივი მიაგეს საზოგადო მოღვაწე აჰმედ (ოზგან) მელაშვილის ხსოვნას. ღონისძიებაზე ფოლკლორული სიმღერები შეასრულა ანსამბლმა „რირაში“, რომელშიც გაერთიანებული არიან ინეგოლის სხვადასხვა სოფელში მცხოვრები შემსრულებლები. მათ რეპერტუარშია 20-ზე მეტი აღდგენილი სიმღერა. სამინისტრომ ანსამბლის წევრებს ტრადიციული სასცენო სამოსი გადასცა საჩუქრად.

დელეგაციაში სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრები და თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები.

ფესტივალის ფარგლებში ჩვენებურების ილია ჭავჭავაძედ წოდებულ აჰმედ ოზგან მელაშვილის დაბადებიდან 100 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა.

- ღონისძიების დაწყებამდე გახლდით სოფელ ჰაირიეში, სადაც მოვინახულეთ აჰმედ მელაშვილის სამუდამო განსასვენებელი და პატივი მივაგეთ მის ხსოვნას. შევხვდით მის მეუღლეს, ქალბატონ იუქსელსა და შვილებს. იქ იმყოფებოდნენ შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის ხელმძღვანელები, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები და საქართველოს ხელოვნების სასახლის წარმომადგენლები, აჭარის, ხულოს, შუახევის, ქედის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები. საიუბილეო საღამოზე გაიმართა აჰმედ მელაშვილის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ მემორიალური გამოცემისა და პროფესორ გიორგი კალანდიას წიგნის „აჰმედ მელაშვილი - ქართველთა ბელადი“ თურქულენოვნი გამოცემის წარდგინება. ვნახეთ 15-წუთიანი ფრაგმენტები გიორგი კალანდიას დოკუმენტური ფილმიდან „აჰმედ მელაშვილი“. მოეწყო ფოტოგამოფენა, დავათვალიერეთ ეროვნული გმირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები. ჩვენებურთა ფოლკლორული ანსამბლის შესრულებით მოვისმინეთ რამდენიმე ქართული სიმღერა, რომელთა აღდგენასაც თავის დროზე ხელი შეუწყო აჰმედ მელაშვილმა. ემოციური და შთამბეჭდავი დღესასწაული გამოვიდა, - თქვა ჩვენთან საუბარში ქართული დელეგაციის წევრმა, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანზორ ბოლქვაძემ.

ნათია იმნაიშვილი,
ოთარ ცინარიძე

საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი – ოზურგეთში

ოზურგეთი ნოდარ დუმბაძის სახელობის მესამე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს მასპინძლობს. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ქართული თანამედროვე და კლასიკური მწერლობის პოპულარიზაციას, შეიტანოს გარკვეული წვლილი პროზაული ნაწარმოებების (რომანი, მოთხრობა, ნოველა) ინსცენირების ტრადიციების განვითარებაში, მხარი დაუჭიროს ქართული კლასიკოსი მწერლის ნოდარ დუმბაძის სახელის უკვდავყოფას, გამოაცოცხლოს კულტურული ცხოვრება და ხელი შეუწყოს თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციას გურიაში. ფესტივალის მხარდამჭერია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

ფესტივალში თბილისიდან და რეგიონებიდან 15 თეატრი მონაწილეობს, რომლებიც მაყურებლის წინაშე 17 სპექტაკლით წარსდგება, ხოლო უცხოეთიდან - 8 თეატრია წარმოდგენილი 9 სპექტაკლით. ფესტივალში მონაწილეობს ლვოვის მარია ზანკოვეცკას სახელობის ნაციონალური აკადემიური დრამატული თეატრი უკრაინიდან; ასევე დასები პორტუგალიიდან, თურქეთიდან, ყაზახეთიდან. ხაზგასასმელია, რომ ფესტივალი ფონდ „ქართუს“ მიერ რეაბილიტირებულ ოზურგეთის თეატრში პირველად იმართება.

ორგანიზატორების განცხადებით, წლევანდელი ფესტივალი გამორჩეულია არამარტო დატვირთული პროგრამით, არამედ მასშტაბურობითაც. საფესტივალო დღეებში ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებზე, ასევე ქართველი კლასიკოსი მწერლების შემოქმედებაზე შექმნილ 26 სპექტაკლს მაყურებელი თეატრის სამივე - დიდ, მცირე და ექსპერიმენტულ სცენაზე იხილავს. აღსანიშნავია, რომ კონკურსზე მასპინძელი თეატრი არაა წარმოდგენილი.

ფესტივალის საერთაშორისო ჟიურის შემადგენლობაში შედიან თეატრის პროფესიონალი კრიტიკოსები და ექსპერტები, რომლებიც ცხრა ნომინაციაში შეარჩევენ გამარჯვებულებს. ფესტივალის მთავარი პრიზია „ნოდარ დუმბაძის პრემია“ (10 ათასი ლარი).

ფესტივალი 5 ივლისს, ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში რობერტ სტურუას გამოსვლით დაიწყო. გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების, კულტურის სფეროს წარმომადგენლები.

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობებმა რეჟისორ რობერტ სტურუას საავტორო სპექტაკლი „ვანო და ნიკო“ (ერლომ ახვლედიანის მოთხრობების მიხედვით) თეატრის დიდ სცენაზე ითამაშეს. როგორც რობერტ სტურუა აღნიშნავს: „დიახ, დღესდღეობით ხშირად ვდგამ ქართულ პიესებს. ბოლო წლებში საქართველოში იმდენი რამ მოხდა, რომ მინდა, გავერკვე კონკრეტულად ამ მოვლენებში. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, შეიძლება ერთმანეთში აირიოს სიკეთე და ბოროტება, შეიძლება ძალიან გაგვიჭირდეს იმის გარკვევა, რაც ჩვენ ირგვლივ ხდება, მაგრამ ყოველთვის რჩება მარადიული ფასეულობები, რჩება ჭეშმარიტება, რომელიც არასდროს იცვლება. სიკეთე ყოველთვის იქნება სიკეთე, ბოროტება - ბოროტება და თუ ზოგჯერ ბოროტება იმარჯვებს, საბოლოოდ მაინც სიკეთე დარჩება გამარჯვებული“. თეატრის მცირე სცენაზე მაყურებელმა რეჟისორ ელენე მაცხონაშვილის საავტორო სპექტაკლი „ცის-კარი“ იხილა. იგი ნოდარ დუმბაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოგვითხრობს და ტექსტი მის ნაწარმოებებსა და ჩანაწერებზეა დაფუძნებული. თოჯინური და ცოცხალი პლანის სინთეზი სანახაობრივთან ერთად, განსაკუთრებულად ემოციურს ხდის სპექტაკლს, ყველა თაობის მაყურებლისთვის გასაგებს, შინაარსობრივად საინტერესოს და აღსაქმელად მარტივს. სპექტაკლში ოზურგეთის თეატრის მსახიობები მონაწილეობენ.

წლევანდელი ფესტივალის სტუმრები არიან თეატრებისა და ფესტივალების საერთაშორისო ასოციაციის ETA დამფუძნებლები და ბორდის წევრები. ჩატარდება ასოციაციის კონგრესი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ოკუპირებული ხერსონის დრამატული თეატრის ხელმძღვანელი ოლექსანდრ კნიგა.

14 ივლისს, ნოდარ დუმბაძის დაბადების დღესთან დაკავშირებით, მის მშობლიურ ჩოხატაურში წარმოდგენილი იქნება ჩოხატაურის სახალხო თეატრის სპექტაკლი „ხაზარულა“ (რეჟისორი გოჩა ხვიჩია).

ნოდარ დუმბაძის სახელობის მესამე საერთაშორისო ფესტივალი 15 ივლისს დაიხურება ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სპექტაკლით „რესპუბლიკა გურია“, რომლის რეჟისორი ნიკოლოზ საბაშვილია.

ანკა ჩხიკვაძე